წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

სარეკომენდაციო წერილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ დებულების შესაბამისად განიხილა 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი, გამოთქვა ზოგიერთი შენიშვნა და წინადადება, რაც აისახა შესაბამის ოქმში (თან ერთვის).

საბჭო რეკომენდაციას იძლევა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენილი იქნას, საბჭოს მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარე: ინგუშა აბესაძე

09.12.2021წ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა

ოქმი N4

ქ. წყალტუბო 7.12.2021 წ

სხდომას ესწრებოდნენ: მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები - ინგუშა აბესაძე, ლეილა აშორდია, ანზორ ბაბუნაშვილი, რომან კუხალაშვილი, ხათუნა მაღლაკელიძე, დავით მესხი, მურად სინაურიძე, ჯამბულ შუღლაძე, მანანა ჩიხლაძე, მარინა ჭავჭანიძე, ზურაბ ჯანელიძე, ჯეირან ომანაძე, თეონა ქობულაძე, ლალი გრიგოლავა, ედიშერ გედენიძე; მუნიციპალიტეტის მერი გენადი ბალანჩივაძე, მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ფატი გაგოშიძე, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ნათია ჩაკვეტაძე, ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი ვახტანგ ნადარეიშვილი, ამავე სამსახურის იურიდიულ საკითხთა და საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ღონისძიებათა მართვის განყოფილებების უფროსები მირანდა მამისეიშვილი და ნათია გახოკიძე.

დღის წესრიგი

1. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ''.

/ფ.გაგოშიძე - მერიის საფინანსო - საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი/

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ, მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ინფორმაცია, რომელმაც ვრცლად ისაუბრა ბიუჯეტის ძირითად მაჩვენებლებზე - ბიუჯეტის ბალანსზე, ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებზე, ბიუჯეტის შემოსავლებზე და ბიუჯეტის ხარჯებზე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა გენადი ბალანჩივაძემ საბჭოს წევრებს გააცნო ბიუჯეტის პრიორიტეტები - ინფრასტრუქტურის განვითარება (საგზაო ინფრასტრუქტურა, წყლის სისტემების რეაბილიტაცია, გარე განათების მოწესრიგება); ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება (მათი თანადაფინანსება კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის, კერძოდ სახლების სახურავებისა და ფასადების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია, ეზოებისა და სადარბაზოების კეთილმოწყობა,ლიფტების რეაბილიტაცია, პანდუსების მოწყობა, დაზიანებული წყალ - საკანალიზაციო სისტემების აღდგენა); საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია (სკვერების, გაზონების, ბავშვთა

გასართობი ატრაქციონების მოწყობა); განათლება (სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მათი ინვენტარით უზრუნველყოფა, აღმზრდელ - პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა); კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა, წარმატებული სპორტსმენებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, წახალისება, მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განვითარება, მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა ფესტივალებსა და სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში); მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, სათნოების სახლის დაფინანსება, დღეგრძელ პირთა 1000 ლარით დახმარება, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეტი შვილის შეძენისას შესაბამისად 500, 700 და 1000 ლარით დახმარება, ამასთან ერთჯერადი დახმარება 30 - მდე სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქისათვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: ხათუნა მაღლაკელიძემ, ინგუშა აბესაძემ, მანანა ჩიხლაძემ, ლეილა აშორდიამ, მურად სინაურიძემ, დავით მესხმა, ზურაბ ჯანელიძემ.

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კუთხით ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯების შესახებ საბჭოს წევრთა შეკითხვებს უპასუხა შესაბამისი სამსახურის უფროსმა ნათია ჩაკვეტაძემ.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში სხვა საკითხებთან ერთად გათვალისწინებულ იქნას ხარჯები:

1.დევნილთა, 9 აპრილის ქუჩის, დასახლებაში ღვარსაწრეტი არხის მოსაწყობად;

2.რკინიგზის სადგურიდან, ლიანდაგის გასწვრივ, სამუსიკო სკოლის მიმდებარედ, გზისა და ხიდ - ბოგირის სარეაბილიტაციოდ;

3. ნაგვის ბუნკერებისა და ნაგავმზიდი მანქანების შესაძენად;

4. საკონცერტო დარბაზ ,,ივერიის'' კეთილმოსაწყობად;

5. ქალაქის ტერიტორიაზე უპატრონო, აგრესიული ძაღლებისა და შინაური ცხოველების ხეტიალის აღსაკვეთად;

6. კურორტის ცენტრალურ პარკში სასმელი წყლის წერტილებისა და ტუალეტების სარეაბილიტაციოდ და მოვლა - პატრონობის უზრუნველსაყოფად.

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ი. აბასეძე

მრჩეველთა საბჭოს მდივანი მ. ჭავჭანიძე